



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N7

2023 წლის 30 მარტი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანახმად N1 დანართისა.

2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2022 საბიუჯეტო წლის ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის 7710,2 ათასი ლარის ოდენობით.

3. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანახმად N2 დანართისა, მათ შორის:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 22102,2 ათასი ლარი (აქედან: გადასახადები - 11557,8 ათასი ლარი; გრანტები - 9079,3 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 1465,1 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 11518,6 ათასი ლარი (აქედან: შრომის ანაზღაურება - 3391,5 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 1984,6 ათასი ლარი; პროცენტი - 25,4 ათასი ლარი; სუბსიდიები - 5016,9 ათასი ლარი; გრანტები - 15,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 564,3 ათასი ლარი; სხვა ხარჯები - 520,9 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 10583,6 ათასი ლარი;

დ) არაფინანსური აქტივების ცვლილება - 7758,4 ათასი ლარი;

ე) მთლიანი სალდო - 2825,2 ათასი ლარი;

ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - 2773,8 ათასი ლარი.

4. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს თანახმად N3 დანართისა.

5. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს თანახმად N4 დანართისა.

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესაბამისად, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა, მათ შორის:

ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4409,9 ათასი ლარი (აქედან: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1018,5 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობა - 3198,5 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობა - 167,5 ათასი ლარი, ვალთან დაკავშირებული ოპერაციები - 25,4 ათასი ლარი);

ბ) ეკონომიკური საქმიანობა - 7242,8 ათასი ლარი (აქედან: სოფლის მეურნეობა - 786,3 ათასი ლარი; ტრანსპორტი - 5756,8 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში - 699,7 ათასი ლარი);

ე) გარემოს დაცვა - 208,6 ათასი ლარი (აქედან: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 207,2 ათასი ლარი, ჩამდინარე წყლების მართვა - 1,4 ათასი ლარი);

ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 2369,6 ათასი ლარი (აქედან: წყალმომარაგება - 26,0 ათასი ლარი; გარე განათება - 394,7 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში - 1948,9 ათასი ლარი);

ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 212,7 ათასი ლარი (აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 167,5 ათასი ლარი; ამბულატორიული მომსახურება - 45,2);

თ) დასვენება, კულტურა და რელიგია - 1577,6 ათასი ლარი (აქედან: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - 294,0 ათასი ლარი; მომსახურება კულტურის სფეროში - 47,2 ათასი ლარი; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა - 1236,4 ათასი ლარი);

ი) განათლება - 3078,9 ათასი ლარი (აქედან: სკოლამდელი აღზრდა - 2192,2 ათასი ლარი; ზოგადი განათლება - 886,7 ათასი ლარი);

კ) სოციალური დაცვა - 545,2 ათასი ლარი (აქედან: ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 278,6 ათასი ლარი; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 92,7 ათასი ლარი; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას - 84,1 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში - 89,8 ათასი ლარი).

7. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 13682,5 ათასი ლარის და ასევე საგასავლო ნაწილში 13682,5 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 22576,8 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 26479,2 ათასი ლარი. 10971,3 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)


დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის იანვარ-დეკემბრის თვის შესრულება		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		19336.8	22576.8	10736.3	11840.5	22470.5	8844.3	13626.2
შემოსავლები	1	17737.8	22016.1	10736.3	11279.8	22102.2	8844.3	13257.9
არაფინანსური აქტივების კლება	31	1599.0	560.7	0.0	560.7	368.3	0.0	368.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	32	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
გადასახდელები		18246.2	26479.2	10898.4	15580.8	19696.7	6040.0	13656.7
ხარჯები	0.0	8748.1	12877.3	1100.9	11776.4	11518.6	929.7	10588.9
არაფინანსური აქტივების ზრდა		9382.5	13548.7	9797.5	3751.2	8126.7	5110.3	3016.4
ვალდებულებების კლება		115.6	53.2		53.2	51.4		51.4
ნაშთის ცვლილება		1090.6	-3902.4	-162.1	-3740.3	2773.8	2804.3	-30.5

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 22576.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22470.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.53%.

შემოსულობების საკასო

(ათასი ლარი)

შემოსულობების ხვედრითი წილი




შემოსავლები

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 22016,1 ათასი ლარი, ფაქტიურად 22102,2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100,4% და მთლიანი შემოსულობების - 98.4% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4902,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 2324,7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 11,3 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან - 387,6 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან - 2178,8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 4236,1 ათასი ლარი) შედარებით 666,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.

ქონების გადასახადი


(ათასი ლარი)



I დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 6655,4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 4920,1 ათასი ლარი) შედარებით 1735,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

დამატებული ღირებულების გადასახადი


(ათასი ლარი)



II გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9079,3 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 1026,0 ათასი ლარი, გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან - 1465,5 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 5803,8 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 784,0 ათასი ლარი.

გრანტები 2022 წელი

(ათასი ლარ



III სხვა შემოსავლები, საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 970,8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1465,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 1150,9%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 1276,9 ათასი ლარი) შედარებით 188,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად ჯარიმები, სანქციები და საურავების მოსაკრებელზე და დეპოზიტზე განთავსებული თანხის პროცენტით მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 414,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (254,2 ათასი ლარი) შედარებით 159,8 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით მობილიზებულია 306.0 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 183.8 ათასი ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 122.2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 75,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (70,8 ათასი ლარი) 107,2%-ია. მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 54,2 ათასი ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (32,8 ათასი ლარი) 137,2%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (32,6 ათასი ლარი) შედარებით 12,4 ათასი ლარით მეტია.


მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 21,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (28.0 ათასი ლარი) 77,5%-ია.

ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 606,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (480,0 ათასი ლარი) 126,3%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (597,1 ათასი ლარი) შედარებით 9,0 ათასი ლარით მეტია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში მიღებულია 368,3 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმიური 560,7 ათასი ლარის ნაცვლად.. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 55,5 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 312,8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

(ათასი ლარი)




ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების


შესრულების შესახებ

2022 წელს გადასახდელების შესრულების 74,4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (84,6%) ნაკლებია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 142.0 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელები

(ათასი ლარი)





2022 წლის გადასახდელების შესრულების დაბალი პროცენტი ძირითადად განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

ა) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის N2435 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტს „ქალაქ ხობში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოები“-ს ასიგნებაზე გამოეყო 1000,0 ათასი ლარი, რაც ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 დეკემბრის Nზ50.5022363001 ბრძანებით აისახა ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100,0 ათასი ლარი. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ასიგნებები არ ათვისებულა;

ბ) ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 2022 წლისათვის გამოყოფილი 3300,0 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა მხოლოდ 1670,4 ათასი ლარი;

გ) გარკვეული სუბიექტური და ობიექტური პირობებიდან გამომდინარე სოფლის მხარდაწერის პროგრამისთვის გამოყოფილი 858,1 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 610,1 ათასი ლარი;

დ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 239,8 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 14,5 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3473,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3391,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,6%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 29,5%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 2818,6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1984,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 70,4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 17,2%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 26,9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 25,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5284,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5016,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 43,6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- გარე განათების ღონისძიებები (შპს „ხობი დასუფთავება და განათება“) – 394,7 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია - 196,3 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები (შპს „ხობი დასუფთავება და განათება“) – 578,7 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 2179,9 ათასი ლარი;
- ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები - 277,7 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 13,3 ათასი ლარი
- კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 1203,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 167,5 ათასი ლარი;
- ავადმყოფთა სოციალური დახმარება (დღის ცენტრის სუბსიდია) – 5,8 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 15,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 50,0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,1%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით დაფინანსებული იქნა ა(ა)იპ „სამეგრელოს დანიშნულების ადგილისმართვის ორგანიზაცია“;

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 578,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 564,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 4,9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (საავადმყოფო ფურცელი) – 42,4 ათასი ლარი;
- ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა – 45,2 ათასი ლარი;
- ავადმყოფთა სოციალური დახმარება - 272,8 ათასი ლარი;
- სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) – 3,5 ათასი ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები - 7,8 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 20,8 ათასი ლარი;
- უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება - 84,1 ათასი ლარი;
- ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი - 42,0 ათასი ლარი;
- უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება - 12,8 ათასი ლარი;
- უმწეოთა ერთჯერადი დახმარება - 29,9 ათასი ლარი;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება(პოლიციიდან,სასამართლოდან ან „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიიდან) შემოსული ოქმის საფუძველზე) - 3,0 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 581,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 520,9 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89,6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 4,5%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები - 57,6 ათასი ლარი, უკრაინაში შექმნილ მოვლენებთან დაკავშირებით დახმარების აქტის დაფინანსება - 6,5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, - 149,7 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი წახალისება) - 16,3 ათასი ლარი;
- ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება - 65,7 ათასი ლარი;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შექმნა) - 124,1 ათასი ლარი.

გადასახდელების სახეების დასახელება	2022 წლის გადასახდელების შესრულება			
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი	შენიშვნა
სულ გადასახდელები	26479.2	19696.7	74.4	
მომუშავეთა რიცხოვნობა				
ხარჯები	12793.4	11518.6	90.0	
შრომის ანაზღაურება	3473.9	3391.5	97.6	
საქონელი და მომსახურება	2818.6	1984.6	70.4	
პროცენტი	26.9	25.4	94.4	
სუბსიდიები	5284.3	5016.9	94.9	
გრანტები	30.0	15.0	50.0	
სოციალური უზრუნველყოფა	578.6	564.3	97.5	
სხვა ხარჯები	581.1	520.9	89.6	
არაფინანსური აქტივების ზრდა	13632.6	8126.7	59.6	
ვალდებულებების კლება	53.2	51.4	96.6	

**ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ
კრილში**

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	ხვედრითი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4894.7	4242.4	86.7	21.6
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება	176.7	167.5	94.8	0.85
ეკონომიკური საქმიანობა	9691.6	7242.8	74.7	36.87
გარემოს დაცვა	313.1	208.6	66.6	1.06

საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5666.4	2369.6	41.8	12.06
ჯანმრთელობის დაცვა	216.8	212.7	98.1	1.08
დასვენება, კულტურა და რელიგია	1628.0	1577.6	96.9	8.03
განათლება	3277.0	3078.9	94.0	15.67
სოციალური დაცვა	561.7	545.2	97.1	2.78
სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)	26426.0	19645.3	74.3	100.00

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 60,1 ათასი ლარიდან გადარიცხულია 58,8 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ

№	ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	ბრძანების თარიღი და ნომერი		გამოყოფილი თანხა	ფაქტიური
		თარიღი	N		
1	2	4	5	6	7
1	ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N208 - ში ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ასიგნება	28.02.2022	850.50220592	2.5	1.2
2	უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შექმნა	16.03.2022	850.50220752	4.9	4.9
3	ყოფილი კინოთეატრი „თუთარჩელა“-ს გაზიფიცირების სამუშაოების დაფინანსება	19.07.2022	850.50222001	1.5	1.5
4	ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 16 და 23 ივნისის სტიქიით (ძლიერი წყალდიდობა) მიყენებული ზარალის მოსახლეობაზე ანაზღაურების დაფინანსება	21.12.2022	850.502235511	15.2	15.2
5	ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 11 და 12 ოქტომბრის სტიქიით (ძლიერი წყალდიდობა) მიყენებული ზარალის მოსახლეობაზე ანაზღაურება	21.12.2022	850.502235513	36.0	36.0
	ჯამი			60.1	58.8

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრ. %	შენიშვნა
	ხობის მუნიციპალიტეტი	26479.2	19696.7	74.4	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5124.6	4461.3	87.1	
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14834.1	8994.8	60.6	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	686.4	679.5	99.0	
04 00	განათლება	3277.0	3078.9	94.0	
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1628.0	1577.6	96.9	

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	929.1	904.6	97.4	
-------	--	-------	-------	------	--

- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 4461.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (5124.6 ათასი ლარი) 87.1%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 8994,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (14834,1 ათასი ლარი) 60,6%-ია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 679,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (686,4 ათასი ლარი) 99,0%-ია;
- ❖ განათლება - 3078,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (686,4 ათასი ლარი) 99,0%-ია;
- ❖ კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1577,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (1628,0 ათასი ლარი) 96,9%-ია;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 904,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (929,1 ათასი ლარი) 97,4%-ია;

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრ. %	შენიშვნა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14834.1	8994.8	60.6	
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	6866.7	5077.3	73.9	
02 01 01	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	6849.2	5067.9	74.0	
02 01 02	ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	17.5	9.4	53.7	
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5979.5	2578.2	43.1	
02 02 01	გარე განათება	410.0	394.7	96.3	
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	47.9	26.0	54.3	
02 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია	5208.5	1948.9	37.4	
02 02 04	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	74.0	1.4	1.9	
02 02 06	მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია	239.1	207.2	86.7	
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	858.1	610.1	71.1	
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	239.8	14.5	6.0	
02 06	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	860.0	699.7	81.4	
02 07	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	30.0	15.0	50.0	

ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“-სთვის (02 01 01) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 6849,2 ათასი ლარის ასიგნება, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 5067,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 74,0%-ია.

99,8 პროცენტით არის ათვისებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ასიგნება (გეგმიური - 5467,2 ათასი ლარი, ათვისება 5454,4 ათასი ლარი); ქვეპროგრამის ასიგნებების ათვისების დაბალი პროცენტული მაჩვენებელ ძირითადად განაპირობა ადგილობრივი ბიუჯეტით გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 1479,5 ათასი ლარიდან მხოლოდ 181,6 ათასი ლარის ათვისებამ. კერძოდ არ შესრულებულა ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში

სასოფლო გზების ჩიხების რეაბილიტაციისა და ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში დამეწყრილ შიდა სასოფლო გზაზე გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სამუშაოები (საერთო მოცულობით 642,5 ათასი ლარი), ასევე ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქიროს უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება ზე გამოყოფილი 837,0 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 181,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“-სთვის (02 02 03) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 5208,5 ათასი ლარის ასიგნება, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1948,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 37,4%-ია. როგორც უკვე აღნიშნულია ასიგნების ათვისების დაბალი პროცენტი ძირითადად განაპირობა ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 2022 წლისათვის გამოყოფილი 3300,0 ათასი ლარიდან მხოლოდ 1670,4 ათასი ლარის ათვისებამ, ასევე შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობისა (120,0 ათასი ლარი) და ქ. ხობში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოების (100,0 ათასი ლარი) ვერ ათვისებამ.

დაბალია გამოყოფილი ასიგნების ათვისების მაჩვენებელი პროგრამა „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯგუბირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“-სთვის (02 05), რისი მიზეზიც უკვე განმარტებულია ზევით.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

პროგრამის „ დასუფთავების ღონისძიებები“-სთვის (03 01) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 686,4 ათასი ლარის ასიგნება, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 679,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,0%-ია.

3. განათლება (04 00)

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრ. %	შენიშვნა
04 00	განათლება	3277.0	3078.9	94.0	
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2376.9	2192.2	92.2	
04 05	საჯარო სკოლების დაფინანსება	900.1	886.7	98.5	

პროგრამის „სკოლამდელი განათლების დაფინანსება“ (04 01) ფაქტობრივად დაფინანსებულია 2192,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2376,9 ათასი ლარის 92,2%-ი). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1100 ბავშვი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უფასოა.

პროგრამის „საჯარო სკოლების დაფინანსება“ (04 05) ფაქტობრივად დაფინანსებულია 886,7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 900,1 ათასი ლარის 98,5%-ი). საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე განხორციელდა ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (05 00)

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრ. %	შენიშვნა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1628.0	1577.6	96.9	
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	315.1	294.0	93.3	
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	16.3	16.3	100.0	

05 01 02	ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები	282.5	277.7	98.3	
05 01 03	სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები	16.3	0.0	0.0	
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	51.7	47.2	91.3	
05 02 02	ძეგლთა დაცვის ხარჯები	51.7	47.2	91.3	
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	3.7	0.0	0.0	
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	17.0	13.3	78.2	
05 05	კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა	1240.5	1223.1	98.6	

ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებების დაფინანსება“ (05 01 01) ფაქტობრივად დაფინანსებულია 16,3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 16,3 ათასი ლარის 100,0%-ი). ასიგნებები მიიმართა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის ფულადი ჯილდოების გადაცემაზე.

ქვეპროგრამის „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები“ (05 01 02) ფაქტობრივად დაფინანსებულია 277,7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 282,5 ათასი ლარის 98,3%-ი). ასიგნებები მიიმართა ვაჟთა ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსებაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების საკითხს.

ქვეპროგრამის „ძეგლთა დაცვის ხარჯები“ (05 02 02) ფაქტობრივად დაფინანსებულია 47,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 51,7 ათასი ლარის 91,3%-ი). გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის, ამ მხრივ აღსანიშნავია ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „მაჩხომერის“ მთაზე წარმოებული სამუშაოებისას მიღებული შედეგები.

პროგრამის „კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა“ (05 05) ფაქტობრივად დაფინანსებულია 1223,1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1240,5 ათასი ლარის 98,6%-ი). ამ ასიგნებებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებო საზოგადოებრივი ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, . ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი“ კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრ. %	შენიშვნა

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	929.1	904.6	97.4	
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	171.5	167.5	97.7	
06 02	ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა	45.3	45.2	99.8	
06 03	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	460.5	449.6	97.6	
06 03 01	ავადმყოფთა სოციალური დახმარება	283.2	278.6	98.4	
06 03 02	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)	6.0	3.5	58.3	
06 03 03	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები	8.4	7.8	92.9	
06 03 04	მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი	21.2	20.8	98.1	
06 03 05	უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება	84.1	84.1	100.0	
06 03 06	ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი	42.0	42.0	100.0	
06 03 07	უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება	15.6	12.8	82.1	
06 04	უმწეოთა ერთჯერადი დახმარება	30.0	29.9	99.7	
06 05	ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	71.2	65.7	92.3	
06 06	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა	150.6	146.7	97.4	

პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება“ (06 01) ფაქტობრივად დაფინანსებულია 167,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 171,5 ათასი ლარის 97,7%-ი). პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციანთა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

პროგრამის „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა“ (06 02) ფაქტობრივად დაფინანსებულია 45,2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 45,3 ათასი ლარის 99,8%-ი). ამ პროგრამით მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე.

ქვეპროგრამის „ავადმყოფთა სოციალური დახმარება“ (06 03 01) ფაქტობრივად დაფინანსებულია 278,6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 283,2 ათასი ლარის 98,4%-ი).

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება გაეწია დიალეზით დაავადებულებს, სულ სულ დახმარება მიიღო 436-მა ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის „სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)“ (06 03 02) ფაქტობრივად დაფინანსებულია 3,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,0 ათასი ლარის 58,3%-ი). დახმარება გაეწია 14 ოჯახს.

ქვეპროგრამის „მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები“ (06 03 03) ფაქტობრივად დაფინანსებულია 7,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 8,4 ათასი ლარის 92,9%-ი). დახმარება გაეწია 35 ბენეფიციარს.

